თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 11 დეკემბრის სხდომის ოქმი #17

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი– 26, სტუდენტი– 0, სულ– 26 წევრი.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება
*/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/*

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, ი. ნაცვლიშვილი/*

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინ-გენტის ანკეტა-კითხვარის შესახებ
*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, ი. ნაცვლიშვილი/*

4. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯომარემ, დეკანმა, პროფ. გიორგი ღაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26
წინააღმდეგი – 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის #17 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის 1999 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

*/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონ მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილი №23140/10. 06.11.2018) ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის 1999 წლის კურსდამთვრებულ რუსუდან თხილაიშვილის განცხადების საფუძველზე მოითხოვა დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და მინიჭებული ხარისხის დაზუსტება.

რუსუდან თხილაიშვილის სახელზე უნდა მომზადდეს დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფრმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ **რუსუდან მაქსიმეს ასული თხილაიშვილი** 1995

წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/508, 09.08.1995).

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ რუსუდან(ი) თხილაიშვილს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი უნომროა) მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჯანდაცვის დაწესებულების მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1999 წლის 13 ივლისის №4/625 ბრძანებით - ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჯანდაცვის დაწესებულებათა მენეჯერის კვალიფიკაციით.

1999 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN°03512, (სარეგისტრაციო №01/126) რეგისტრირებულია რუსუდან თხილაიშვილის სახელზე.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილთან ერთად წარმოადგინა 1999 წელს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 28 ოქმი, რომელთაგან მხოლოდ ერთ ოქმზე არ არის დაფიქსირებული თარიღი, რაც შეეხება ნომრებს, ზოგიერთი ოქმი უნომროა. კერძოდ, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედ კომისიის მიერ განხილული უნდა იქნეს ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის *(საღამო)*, მანქანათმშენებლობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის *(დღე, დაუსწრებელი)*, ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობის *(დღე)*, მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის *(დღე)*, შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების *(დაუსწრებელი)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობაში *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა ქიმიური მრეწველობის *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მსუბუქი მრეწველობის *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მანქანათმშენებლობის *(დღე)*, საგარეო ეკონომიკური საქმინობის ორგანიზაციისა და მართვის *(დღე)*, შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა სამრეწველო საწარმოში *(დღე)*, ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში *(საღამო, დაუსწრებელი)*, სამშენებლო წარმოების ეკონომიკისა და მართვა *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოებაში *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა ორგანიზაციის სფეროში *(დღე)*, ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში -

ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა *(დღე, საღამო)*, კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა *(დღე, დაუსწრებელი)*, ეკონომიკური კიბერნეტიკის *(დღე)*, ეკონომიკური ინფორმატიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობებში 1999 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1999 წელს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე მოქმედებდა 4 სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია სხვადასხვა სპეციალობების დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები.

*მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: გ. მინდელი; წევრები: ნ. პაიჭაძე, დ. ძნელაძე, პ. ჩაგელიშვილი, ს. ჩოჩოშვილი, რ. ჩხაიძე, თ. ხომერიკი, ო. ეჯიბაძე, ვ. მათურელი, გ. ჩანადირი)* მიერ 1999 წელს სულ წარმოებულია 12 ოქმი. მ.შ. 11 ივნისს, 11-12 ივნისს, 21 ივნისს, 22 ივნისს, 23 ივნისს, 25 ივნისს და 28 ივნისს წარმოებულია თითო ოქმი, 12 ივნისს - 3 ოქმი და 28 ივნისს - 2 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და მნიჭებული აქვთ ნომრები.

*მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: დოც. კაპანაძე იური; წევრები: პროფ. ბიჭიაშვილი ნოდარი, პროფ. ტატიშვილი ალექსანდრე, დოც. გოგიაშვილი ომარი, დოც. ჩაგელიშვილი ლალი, დოც. ღვედაშვილი ნაირა, დოც. გოგიჩაშვილი ვაჟა, დოც. კიკნაძე ნუგზარი)* მიერ 1999 წელს სულ წარმოებულია 12 ოქმი. მ.შ. 8 ივნისს, 9 ივნისს, 22 ივნისს, 23 ივნისს, 24 ივნისს და 26 ივნისს წარმოებულია თითო ოქმი, 30 ივნისს - 5 ოქმი, ხოლო ერთ ოქმზე არ არის დაფიქსირებულია თარიღი. არცერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

*მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: თამაზ ბარამიძე; წევრები: მურთაზ მაღრაძე, გივი პარკაძე, ვაჟა გოგიჩაიშვილი, ენვერ ლაგვილავა, თემური ხომერიკი; მდივანი: ჯენეტი ბოლაშვილი)* მიერ 1999 წლის 25 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი. სამივე ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და მინიჭებულუა აქვს ნომერი (№3).

*მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის* სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ვლადიმერ პაპავა; წევრები: კლიმენტი აჩელაშვილი, იური ანანიაშვილი, ვაჟა მათურელი, გიორგი ბერკაცაშვილი, იზა ნათელაური, მარინე ცუცქირიძე; მდივანი: დალი კონიაშვილი)* მიერ 1999 წლის 25 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი, რომელსაც მინიჭებული აქვს ნომერი (№1).

წარმოდგენილი ოქმების განხილვისას აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები:

1. მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ერთ-ერთი ოქმი №1 დათარიღებულია 1999 წლის 11-12 ივნისის რიცხვებით. ინფორმაციის დაზუსტებისას გაირკვა, რომ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მუშაობა დამოკიდებული იყო სახელმწიფო გამოცდაზე გამსვლელ სტუდენტთა რაოდენობაზე. სახელმწიფო გამოცდის დამთავრების ბოლოს კი ფორმდებოდა შესაბამისი სათანადო ოქმი სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. როგორც ჩანს, წარმოდგენილ ოქმში მითითებულ კომისიამ იმუშავა ორი დღის განმავლობაში - 11 და 12 ივნისს, რაც დაფიქსირებულია ოქმზეც, ხოლო გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო 1999 წლის 12 ივნისს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მანქანათმშენებელი წარმოების ეკონომიკისა და მართვის (დ/გ) სპეციალობაში სახელმწიფო სგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის (№1) თარიღად გაისაზღვროს 1999 წლის 12 ივნისი;
2. მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ ოქმზე დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩაარების თვე (1999 წლის ივნისი). ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ შესწავლილი და მოძიებული ინფორმაციით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულმა კომისიამ სხდომა ჩაატარა 1999 წლის 9 ივნისს.

ამჟამად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ"-ს დამატება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 26
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1999 წელს თსუ ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო

კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკა და მართვა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის *(საღამო)*, მანქანათმშენებელი წარმოების ეკონომიკისა და მართვის, ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობის *(დღე)*, მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის *(დღე)*, შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების *(დაუსწრებელი)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობაში *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა ქიმიურ მრეწველობაში *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მსუბუქ მრეწველობაში *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მანქანათმშენებლობაში *(დღე)*, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა *(დღე)* და შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა სამრეწველო საწარმოს (დღე) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 11 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის*** *სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 11.06.1999;*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მანქანათმშენებელი წარმოების ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთვრებულებს ***მანქანათმშენებელი წარმოების მენეჯერის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტი-ლების 1999 წლის 11-12 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 12 ივნისი*** და ნომერი დარჩეს უცვლელი - ***№1;***
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 12 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და*** *მართვა მანქანათმშენებლობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 12.06.1999;*

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *მსუბუქი მრეწველობის წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 12 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მსუბუქი მრეწველობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 12.06.1999;*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *შრომის ორგანიზაციის და ნორმირების* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *შრომითი რესურსების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 12 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 12.06.1999;*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობაში* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კვების მრეწველობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 21.06.1999;*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა ქიმიური მრეწველობის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ქიმიური მრეწველობის წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა ქიმიური მრეწველობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 22.06.1999.*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა ქიმიური მსუბუქი მრეწველობის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ბაკალავრის აკადემიური*

*ხარისხი მსუბუქი მრეწველობის წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მსუბუქი მრეწველობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4, 23.06.1999.*

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *მანქანათმშენებლობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მანქანათმშენებლობის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №5, 24.06.1999;*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მანქანათმშენებლობის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მანქანათმშენებელი წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მანქანათმშენებლობის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №5, 24.06.1999;*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა საწარმოოს სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №6, 25.06.1999;*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა სამრეწველო საწარმოს* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომითი რესურსების მენეჯერის*

კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა სამრეწველო საწარმოს სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №8, 28.06.1999.*

II. აღდგენილად ჩაითვალოს 1999 წელს თსუ ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში *(საღამო, დაუსწრებელი)*, სამშენებლო წარმოების ეკონომიკა და მართვა *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოებაში *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში *(დღე)*, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მომსახურების სფეროში *(დღე)*, ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში - ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა *(დღე, საღამო)*, სამშენებლო კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა *(დღე)*, კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა *(დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამო განყოფილების *ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *მომსახურების სფეროს წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 8 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1999 წლის 8 ივნისი* და ნომრად *№1/3*;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *სამშენებლო წარმოების ეკონომიკისა და მართვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *სამშენებლო წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის ... ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1999 წლის 9 ივნისი* და ნომრად *№2/3*;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამო განყოფილების *სამშენებლო წარმოების ეკონომიკისა და მართვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *სამშენებლო წარმოების მენეჯერის*

კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 9 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 9 ივნისი*** და ნომრად ***№3/3***;

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სამშენებლო წარმოებაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამშენებლო წარმოების მენეჯერის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№4/3***;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი კავშირგაბმულობის წარმოების მენეჯერის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№5/3***;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა მომსახურების სფეროში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მომსახურების სფეროს წარმოების მენეჯერის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№6/3***;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა)*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. რუსუდან თხილაიშვილი) ***ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჯანდაცვის დაწესებულებათა მენეჯერის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№7/3***;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სამშენებლო კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***კავშირგაბმულობის წარმოების მენეჯერის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 30 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1999 წლის 30 ივნისი*** და ნომრად ***№8/3***;

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *კავშირგაბმულობის წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 30 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1999 წლის 30 ივნისი* და ნომრად *№9/3*;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამო განყოფილების *ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა)* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 30 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1999 წლის 30 ივნისი* და ნომრად *№10/3*;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *სამშენებლო წარმოების ეკონომიკისა და მართვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *სამშენებლო წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 30 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1999 წლის 30 ივნისი* და ნომრად *№11/3*;
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო, საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *მომსახურების სფეროს წარმოების მენეჯერის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 30 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1999 წლის 30 ივნისი* და ნომრად *№12/3*.

III. აღდგენილად ჩაითვალოს 1999 წელს თსუ ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების *ეკონომიკური ინფორმატიკის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ინჟინერ-ეკონომისტის* კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო

კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 25.06.1999;*

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკური ინფორმატიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-ინფორმატიკოსის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 25.06.1999;*
- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საღამო განყოფილების ***ეკონომიკური ინფორმატიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 25.06.1999.*

IV. აღდგენილად ჩაითვალოს 1999 წელს თსუ ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური კიბერნეტიკის *(დღე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

- ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკური კიბერნეტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მათემატიკოსის*** კვალიფიკაციით მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1999 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - *მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 25.06.1999.*

V. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს 1999 წლის 8, 9, 11, 11-12, 12, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28 და 30 ივნისს ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მიერ წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში *(იხ. 1999 წლის 11, 11-12, 12, 21, 22, 23, 24, 25 და 28 ივნისის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები; 2. 1999 წლის 8, 9, 22, 23, 24, 26 და 30 ივნისის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 3. 1999 წლის 25 ივნისის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები; 4. 1999 წლის 25 ივნისის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური **ხარისხის კორექტირების შესახებ**

*ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ი. ნაცვლიშვილი/*

ქალბატონმა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№23140/10 06.11.2018), სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის 1999 წლის კურსდამთავრებულ **რუსუდან თხილაიშვილის** განცხადების საფუძველზე მოითხოვა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად დიპლომის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემის შექმნა და მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ რუსუდან მაქსიმეს ასული თხილაიშვილი 1995 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/508, 09.08.1995).

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ რუსუდან(ი) თხილაიშვილს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნომროა) მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჯანდაცვის დაწესებულების მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1999 წლის 13

ივლისის №4/625 ბრძანებით - ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჯანდაცვის დაწესებულებათა მენეჯერის კვალიფიკაციით.

1999 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №03512, (სარეგისტრაციო №01/126) რეგისტრირებულია რუსუდან თხილაიშვილის სახელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით მინიჭებული ხარისხი ზოგადი სახისაა და არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1999 წლის 13 ივლისის №4/625 ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან.

ამიტომ, უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და კურსდამთავრებულ რუსუდან თხილაიშვილს ნაცვლად *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ჯანდაცვის დაწესებულებათა მენეჯერის კვალიფიკაციით“* უნდა მიენიჭოს *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ჯანდაცვის დაწესებულებათა მენეჯერის კვალიფიკაციით“.*

ქალბატონმა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, რომ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 26 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი უნომრო) ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებასთან (№4/625, 13.07.1999). ამასთან, აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 26 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (უნომრო) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა

სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) კურსდამთავრებულ რუსუდან თხილაიშვილს ნაცვლად „**ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ჯანდაცვის დაწესებულებათა მენეჯერის კვალიფიკაციით**“ მიენიჭოს „**ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ჯანდაცვის დაწესებულებათა მენეჯერის კვალიფიკაციით.**“

2. აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში (ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 26 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (უნომრო) მითითებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლისთვის მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

*ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ი. ნაცვლიშვილი/*

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარი და ის ცვლილებები, რომელიც შევიდა აღნიშნულ კითხვარში წინა წელთან შედარებით, კერძოდ: გაიზარდა მისაღები კონტიგენტი „ტურიზმის“ საბაკალავრო და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამაზე „ეკონომიკა“. ამასთან, „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე მეოთხე არჩევით გამოცდად მათემატიკასთან ერთად განისაზღვრა ისტორია და გეოგრაფია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია სტუდენტთა შემდეგი რაოდენობებით:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ეკონომიკა" - 400 ადგილი;

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება" - 300 ადგილი;

3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი" – 150 ადგილი;

4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)– 150 ადგილი.

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ი. ხელაშვილმა, პროფ. ლ. საბაურმა, პროფ. დ. ნარმანიამ, პროფ. გ. ღაღანიძემ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. მ. მინდორაშვილმა, ასოც პროფ. შ. შაბურიშვილმა.

პროფ. ნ. თოდუამ წამოაყენა წინადადება, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვროს 350 ადგილით და მეოთხე არჩევით გამოცდად მათემატიკასთან ერთად დაემატოს გეოგრაფია.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა დისკუსია.

პროფ. გ. ღაღანიძემ წამოაყენა წინადადება, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვროს 350 ადგილით და ამ ეტაპზე მეოთხე არჩევითი გამოცდად დარჩეს ისევ მხოლოდ მათემატიკა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ მოსალოდნელია საბაკალავრო პროგრამებზე დაფინანსების მოდელის ცვლილება და თუ ეს ცვლილება განხორციელდა, მაშინ ხელახლა დაუბრუნდებიან ანკეტა-კითხვარში ადგილების რაოდენობის, კომპეტენციათა ზღვრების, კოეფიციენტების და ანკეტა-კითხვართან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

კენჭისყრაზე დადგა წინადადება, დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლისთვის მისაღები კონტიგენტის წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარი იმ შესწორებით, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვროს 350 ადგილით, ხოლო ანკეტა-კითხვარში მითითებული სხვა ინფორმაცია დარჩეს უცვლელად.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25
წინააღმდეგი – 1

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლისთვის მისაღები კონტიგენტის წარმოდგენილი ანკეტა კითხვარი მითითებული შესწორებით **(იხ. დანართი 1)**, რომლის მიხედვითაც მისაღები კონტიგენტი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი სახით:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ეკონომიკა" - 400 ადგილი;
2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება" - 350 ადგილი;
3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი" – 150 ადგილი;

4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)– 150 ადგილი.

*იხ. დანართი 1*

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისთვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, დაცვის თარიღების და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, მ. ლობჟანიძე/*

ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა:

1. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი ბრეგაძის სადისერტაციო ნაშრომის: „ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
3. პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი)
4. პროფესორი სიმონ გელაშვილი
5. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
6. პროფესორი ნოდარ ხადური
7. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
8. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე
10. ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
11. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

აზრი გამოთქვეს: პროფ. ი ანანიაშვილმა. მან უარი განაცხადა დაცვის კომისიის წევრობაზე. მის ნაცვლად დასახელდა ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძის კანდიდატურა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი ბრეგაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
3. პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი)
4. პროფესორი სიმონ გელაშვილი
5. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
6. პროფესორი ნოდარ ხადური
7. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
8. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე
10. ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
11. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

2. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომის: „ინვესტიციების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მოდელირება (საქართველოს მაგალითზე)" (მეცნიერ-ხელმძღვანელები: პროფესორი სიმონ გელაშვილი, ასოცირებული პროფესორი მარინა მუჩიაშვილი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი იური ანანიაშვილი
3. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი(თავმჯდომარე)
4. პროფესორი ნოდარ ხადური
5. პროფესორი თეიმურ შენგელია
6. პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
7. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე(მდივანი)
8. ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნანა ასლამაზიშვილი (საქართველოს ეროვნული ბანკი)
10. ასოცირებული პროფესორი მარინა მინდორაშვილი(მოადგილე)
11. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2019 წლის 11იანვარი, 14.00 საათი

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი იური ანანიაშვილი
3. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი(თავმჯდომარე)
4. პროფესორი ნოდარ ხადური
5. პროფესორი თემურ შენგელია
6. პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
7. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე(მდივანი)
8. ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნანა ასლამაზიშვილი (საქართველოს ეროვნული ბანკი)
10. ასოცირებული პროფესორი მარინა მინდორაშვილი(მოადგილე)
11. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა

2. დისერტაციის დაცვის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 11იანვარი, 14.00 საათი.

3. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტ ალექსანდრე მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომის: „ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები"(მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა
2. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე
3. პროფესორი დავით ნარმანია
4. პროფესორი ნოდარ ხადური
5. პროფესორი თემურ შენგელია
6. ასოცირებული პროფესორი მარინე თავართქილაძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)
7. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე (მდივანი)
8. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე)
9. ასოციოებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი(მოადგილე)
10. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
11. ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაული

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წლის 28 დეკემბერი, 14.00 საათი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტ ალექსანდრე მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა
2. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე
3. პროფესორი დავით ნარმანია
4. პროფესორი ნოდარ ხადური
5. პროფესორი თეიმურ შენგელია
6. ასოცირებული პროფესორი მარინე თავართქილაძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)
7. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე (მდივანი)
8. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე)
9. ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი(მოადგილე)
10. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
11. ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

2. დისერტაციის დაცვის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 28 დეკემბერი, 14.00 საათი.

4. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ზურაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „დეველოპერული კომპანიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები საქართველოში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია) შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

შემფასებლები: ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
ასოცირებული პროფესორი ნინო ლომიძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ზურაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად დამტკიცდეს: ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი ნინო ლომიძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: ღაღანიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვხლაძე